

ევანგელური ეკლესია „სიცოცხლის სიტყვა“

ევანგელური ეკლესია „სიცოცხლის სიტყვა“ 1983 წლის 24 მაისს დაარსდა შვედეთში. მისი ფუძემდებელია შვედი ულფ ეკმანი. მათ მიმდევრები გააჩნიათ მრავალ ქვეყანაში: ინგლისში, გერმანიაში, ნორვეგიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, ბალტიის ქვეყნებში და სხვ.

ყველაფერი დაიწყო შვედეთის ქალაქ უპსალაში სტუდენტების მიერ ჩამოყალიბებულ ბიბლიის შემსწავლელ ჯგუფით, რომლებიც თავის მიზნად ისახავდნენ მათი მეგობრების ევანგელიზაციას. ულფ ეკმანი იყო ერთ-ერთი მათგანი, რომელიც გაემგზავრა შემდეგში ამერიკაში ტულსას ბიბლიურ ცენტრში, სადაც 1 წელი მოღვაწეობდა. 1983 წელს, შვედეთში დაბრუნებისას დააფუძნა ეკლესია “სიცოცხლის სიტყვა“, ბიბლიური სკოლა და 1994 წელს - უნივერსიტეტი.

1985 წლიდან მორწმუნეთა მისიონერული ჯგუფები რეგულარულად ჩამოდიოდნენ საბჭოთა კავშირში, სადაც მათ გაავრცელეს უამრავი ბიბლია, შექმნეს ლოცველთა ჯგუფები. 1993 წ. მოსკოვში ჩამოსულმა მისიონერმა უვე სვემბერგმა ჩამოაყალიბა ხუთკაციანი ჯგუფი, რომელიც ნელნელა იზრდებოდა, ჩამოაყალიბა ბიბლიური სკოლა.

მრწამსი: მათი დოქტრინა არაფრით არ განსხვავდება ორმოცდაათიანელთა ეკლესიის დოქტრინისაგან. აღიარებენ მხოლოდ ნათლობის, ზიარებისა და ქორწინების საიდუმლოებს. “სიცოცხლის სიტყვა“ აღიარებს წმინდა სამებისა და ქრისტეს ღვთაებრიობას.

საქართველოში პირველი ეკლესია დაფუძნდა ქარელის რაიონში, ს.კეხიჯვარში. ცენტრი თბილისშია. რეგიონებში არსებობს 14 საკრებულო: ბათუმში, ქობულეთში, ზუგდიდში, გორში, გურჯაანში, თელავში და ა.შ.

წევრთა რაოდენობა 1000 აღწევს. არავითარ პერიოდიკას არ გამოსცემენ.